განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე

დამტკიცებულია შპს „აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის“

დირექტორის მიერ

შპს „აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის“

შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

2025-2032 წლები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს და სასკოლო საზოგადოებას წარუდგინოს ორგანიზაციის განვითარების ძირითადი ხაზი და მიმართულებები, რომლებიც სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული გეგმა ეფუძნება საქართველოს განათლების პოლიტიკის პრიორიტეტებს, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის პრინციპებს, მსოფლიოს განათლების სფეროში მიმდინარე კვლევებსა და წარმატებულ ინიციატივებს, და, რაც მთავარია, თვით სკოლის SWOT ანალიზს.

სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროცესის მიმართულებები და ნაბიჯები, რომლებიც სკოლის ხედვაში აღწერილი სურათის რეალიზებისკენ წაგვიყვანს. გეგმის ხორცშესხმისას შევქმნით გარემოს, სადაც ფსიქოლოგები, მასწავლებლები, ადმინისტრატორები და მშობლები აქტიურად ითანამშრომლებენ მოსწავლეთა სრულფასოვანი აკადემიური და პიროვნული განვითარებისათვის.

სკოლის საქმიანობა დაეფუძნება სამ ძირითად მიდგომას: 1) საგანთაშორის ინტეგრირებას, რაც მოიცავს სხვადასხვა საგნობრივი თუ ცხოვრებისეული თემატიკის ურთიერთგადაჯაჭვულ ბლოკებად გაერთიანებას; 2) კლასიკური წიგნიერების თანამედროვე ცხოვრებასთან დაკავშირებას, რაც გულისხმობს დიდი საკაცობრიო იდეებისა და კულტურული მიღწევების შეტანას სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში; 3) ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების აქტიურად ჩართვას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებში. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გააცნობიერონ, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა სასწავლო საგანში არსებული შინაარსი და დაინახონ მიღებული ცოდნის რეალურ სამყაროში გამოყენების მნიშვნელობა. ინტეგრირებული სწავლება და თვითშემეცნებაზე ორიენტირება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების ჩამოყალიბებას.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია იმგვარი სასწავლო გარემოსა და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის ხედვის რეალიზებას, სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებას, მტკიცე სასკოლო

კულტურის ფორმირებას, სკოლის ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და, ზოგადად, სკოლის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

სკოლის შესახებ

შპს "აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის" (შემდგომში - "სკოლა") წარმოადგენს ინოვაციურ და პროგრესულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოსწავლეთა განათლებისა და განვითარების მაღალ ხარისხზეა ორიენტირებული. სკოლა ეფუძნება სწავლების მოდელებს, რომლებიც შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს და კლასიკურ განათლებას თანამედროვე მიდგომებთან აერთიანებს.

„აზროვნების აკადემიის” მიმართულებები

„აზროვნების აკადემია” არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც 2017 წლიდან ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის:

ზრდასრულთა მიმართულება მოიცავს სალონურ საუბრებს, კურსებს, ლექციათა ციკლებსა და საგანმანათლებლო პროექტებს, რომლებიც ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ლიტერატურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე. ზრდასრულების მიმართულების მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გავრცელებას როგორც ფიზიკური, ასევე ციფრული არხების საშუალებით.

მოზარდთა მიმართულება მოიცავს საკვირაო სკოლას, კურსებს, ტრენინგებსა და ვორქშოფებს 3-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის. “აზროვნების აკადემია” ყოველწლიურად ახორციელებს ზამთრისა და ზაფხულის ბანაკებს, ასევე საზაფხულო

სკოლას, რომლებსაც უძღვებიან აკადემიის ფსიქოლოგთა მიერ გადამზადებული ლიდერები და პედაგოგები.

“აზროვნების აკადემიის” მოზარდთა მიმართულების მიზანია ბავშვებსა და მოზარდებს შესთავაზოს ფსიქოლოგიისა და მხატვრული ლიტერატურის პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მათ პიროვნულ ზრდას და ემოციური ინტელექტის განვითარებას.

ყოველწლიურად მოზარდთა მიმართულებით შექმნილი პროექტები აერთიანებს 1000-მდე მოსწავლეს ექვს სხვადასხვა ფილიალში, მათ შორის ქუთაისსა და ბათუმში.

2020 წელს **“აზროვნების აკადემიამ” დაარსა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება,** რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უნიკალურობისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნებას, მასში არსებული პოტენციალის ხელშეწყობასა და განვითარებას. ბაღი განსაკუთრებულია იმითაც, რომ თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა იქმნება, რომელიც მათ საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებზეა ორიენტირებული. “აზროვნების აკადემიის” აღმზრდელ-ფსიქოლოგებს ამ პროცესში ფასილიტატორის როლი აქვთ მორგებული, რაც ბავშვებში ფიქრისა და ანალიზის უნარებს ავითარებს.

გარდა ამისა, “აზროვნების აკადემია” სხვადასხვა პროექტის, ტრენინგისა და ლექციის საშუალებით აქტიურად ზრუნავს მშობელთა ფსიქოგანათლებაზე და მათთვის ბავშვის აღზრდის პროცესში დამხმარე ინფორმაციის მიწოდებაზე.

2021 წელს “აზროვნების აკადემიამ” დააარსა **გამომცემლობა,** რომელმაც შეძლო მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება ქართულ საგამომცემლო სივრცეში. დღემდე გამომცემლობას გამოქვეყნებული აქვს 50-მდე წიგნი ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, საბავშვო ლიტერატურისა და სხვა მიმართულებებით. “აზროვნების აკადემიის” გამომცემლობის მიზანია თარგმნოს ან შექმნას ისეთი მხატვრული, არამხატვრული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლიტერატურა, რომელიც ეხება თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს; ასევე, წარმოგვიდგინოს თემები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებასა და რეალიზებას ცვალებად გარემოში.

შპს "აზროვნების აკადემია მოზარდებისთვის" მრავალწლიან გამოცდილებასა და წარმატებით განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებზე დაყრდნობით დაფუძნდა. “აზროვნების აკადემიამ” სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა, მათ შორის, სკოლამდელი განათლების სფეროში. ამან კი, ძლიერი ბიძგი მისცა სკოლის შექმნის ჩაფიქრებას და რეალიზების პროცესის დაწყებას. ბაღის აღსაზრდელები სკოლის პოტენციურ მოსწავლეებს წარმოადგენენ, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებისათვის.

სკოლაში დასაქმებულნი არიან განათლებისა და ფსიქოლოგიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც გამოირჩევიან მრავალწლიანი გამოცდილებით, პროფესიული რეფლექსიით და ინოვაციური აზროვნებით. სკოლის სტრატეგიული მიზანია, ჩამოაყალიბოს მასწავლებელთა და ფსიქოლოგთა სინერგიულ თანამშრომლობაზე და მოწინავე საგანმანათლებლო ინოვაციების დანერგვაზე ორიენტირებული უნიკალური კულტურა, რომელიც მდგრადი კონკურენტული უპირატესობის საფუძველი გახდება.

სკოლის ფილოსოფია

მისია

აზროვნების აკადემიის სკოლა ქმნის უსაფრთხო, ემოციურად ჯანსაღ, თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური განვითარებისათვის. კლასიკური და თანამედროვე განათლების პრინციპების შერწყმით, მოსწავლეები ყალიბდებიან მუდმივ შემეცნებაზე ორიენტირებულ, წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლობიან მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ, გუნდურად და კრეატიულად განახორციელონ სხვადასხვა სახის პროექტები, გადაჭრან გარემოში არსებული პრობლემები და გაცნობიერებული წვლილი შეიტანონ საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლაში.

ხედვა

ჩვენ ვხედავთ სკოლას, რომელშიც:

- სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება მასწავლებელთა და ფსიქოლოგთა აქტიური თანამშრომლობით. სკოლის ფსიქოლოგებს დიდი წვლილი შეაქვთ სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, სასწავლო გარემოს მუდმივად გაჯანსაღებაში, მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების გზების განსაზღვრაში და მშობლებთან კონსტრუქციულ კომუნიკაციაში.
- მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით ქმნიან საგანთაშორისი კავშირებით აგებულ, ინოვაციურ თემატურ ერთეულებსა და პროექტებს, რომლებიც მდიდარია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით.
- მოქმედებს მოსწავლეთა მხარდაჭერისა და განვითარების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის თვითგამორკვევას, თვითაქტუალიზაციას, რელევანტური მოლოდინების ჩამოყალიბებას, სწავლისა და ცხოვრებისთვის საჭირო უნარების შეძენას.
- სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია კლასიკური განათლების პრინციპებისა და დიადსაკაცობრიო იდეების სიღრმისეულად გააზრება, მათი თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში განხილვა და ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზება.

- მოსწავლეები სწავლობენ, ურთიერთობენ და იზრდებიან ფსიქოლოგიურად უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოში, რომელშიც ზრუნავენ მათ სოციალურ, ემოციურ და პიროვნულ განვითარებაზე.

მისიის ეფექტური განხორციელებისთვის სკოლა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **თვითშემეცნება და კრიტიკული აზროვნება** როგორც პიროვნული განვითარების, ისე ჯანსაღი საზოგადოების ფორმირების მნიშვნელოვანი საყრდენებია. მიუკერძოებელი, ღრმა და არგუმენტირებული მსჯელობა, ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი და სწორად განზოგადება აუცილებელია თანამედროვე მსოფლიოში ორიენტირებისა და პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. მოსწავლეები ისწავლიან საკუთარი აზრებისა და რწმენა-წარმოდგენების გადასინჯვას, განსხვავებულ პერსპექტივებთან შეჯერებას. ამ ღირებულებების რეალიზებას ხელს შეუწყობს თვითდაკვირვებაზე, კვლევა-ძიებაზე, მსჯელობასა და დიალოგზე დაფუძნებული სასწავლო ციკლები.
- **შემოქმედებითობა და ინოვაციურობა** არის წყარო ახალი იდეების, მიდგომების, გადაწყვეტების გენერირებისათვის, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მდგრადი განვითარება. შემოქმედებითობა იძლევა პირველ ნაპერწკლებს, ხოლო ინოვაციურობა უზრუნველყოფს ეფექტურ სტრატეგიებსა და საშუალებებს მათი რეალიზებისათვის. აღნიშნული ღირებულებები დაეხმარება მოსწავლეს სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრაში, ცვლილებებთან ადაპტირებაში, მეწარმეობითი მისწრაფებების გაღვივებაში, საინტერესო და სასარგებლო ჩანაფიქრთა რეალიზებაში. ამ ღირებულებათა რეალიზებას წაახალისებს გაბედულ ექსპერიმენტებზე, მხატვრულ თვითგამოხატვაზე, სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სასწავლო პროექტები.
- **თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა** აუცილებელია ძლიერი, ინტეგრირებული და ინკლუზიური სასკოლო საზოგადოების შესაქმნელად. ეს ღირებულებები უბიძგებს მასწავლებლებს, მშობლებს და ფსიქოლოგებს, გაუზიარონ ერთმანეთს სასარგებლო ინფორმაცია, გააზიარონ საუკეთესო გამოცდილებები და გუნდურად გადაწყვიტონ ბავშვების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. მოსწავლეთა შორის

გაღვივდება მიკუთვნებულობის, თანაგრძნობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობები, რომელთა კომბინირებულად რეალიზებასაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი პროექტები, გუნდური აქტივობები და ურთიერთსწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო ციკლები/პროგრამები.

- **ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტობა** წარმოადგენს მრავალფეროვანი და ჰარმონიული სასწავლო გარემოს საფუძველს, რომელშიც თითოეულ ადამიანს ექნება ინდივიდუალური უნიკალურობის აღიარების, დაფასებისა და მიღების შესაძლებლობა. ეს ღირებულებები ქმნის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრებს, იზიარებენ განსხვავებულ შეხედულებებს და სწავლობენ ერთმანეთისგან. ამგვარი გარემო ხელს უწყობს არა მხოლოდ აკადემიურ წარმატებას, არამედ სოციალური და ემოციური ინტელექტის განვითარებას, რაც აუცილებელია ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებისთვის.

სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში საგანგებო როლი აქვს სკოლის მიმდინარე მდგომარეობის SWOT ანალიზს, რომლის საშუალებითაც გამოკვეთილია “აზროვნების აკადემიის” სკოლისათვის სპეციფიკური ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები.

SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ მრავალწლიანი გამოცდილება არაფორმალურ განათლებაში; ➢ კარგი კორპორაციული რეპუტაცია და მყარი პარტნიორული კავშირები; ➢ ფსიქოლოგთა და მასწავლებელთა გუნდების პროფესიული გამოცდილება და მზაობა შემოქმედებითი თანამშრომლობისათვის; ➢ სკოლის პერსონალის წინარე ცოდნა და	➢ საწყის ეტაპზე საკუთარი შენობის არარსებობა; ➢ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების არქონა; ➢ არასტანდარტული სპორტული დარბაზი; ➢ სკოლის მართვის გამოცდილების არქონა;

მზაობა ინტეგრირებული და პროექტული სწავლება-სწავლის დასანერგად; ➢ მრავალფეროვანი შინაარსობრივი რესურსები და საკუთარი საგამომცემლო ბაზა ნაბეჭდი და ონლაინ რესურსებით სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად; ➢ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა-განვითარების ოთხწლიანი გამოცდილება; ➢ ადგილმდებარეობა და ეკოლოგიური გარემო; ➢ მიწის ნაკვეთი სკოლის ასაშენებლად.	➢ ამ ეტაპზე საბაზო-საშუალო საფეხურებისა და საერთაშორისო პროგრამის არქონა; ➢ საერთაშორისო პროგრამებთან პარტნიორობის გამოცდილების არქონა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა; ➢ წამყვან მეთოდოლოგიასა და საუკეთესო პრაქტიკებზე ხელმისაწვდომობა; ➢ ხელოვნური ინტელექტის როლის ზრდა სასწავლო პროცესის მართვაში; ➢ სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალობებისადმი ინტერესის ზრდა და ახალი თაობების შემოსვლა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში (განსაკუთრებით, ფსიქოლოგიისა და განათლების ადმინისტრირების დარგებში); ➢ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და	➢ მაღალკვალიფიციური და ლოიალური პედაგოგიური კადრების დეფიციტი შრომის ბაზარზე; ➢ დიდი გამოცდილების, საკუთარი ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო პროგრამების მქონე კონკურენტი სკოლების სიმრავლე; ➢ განათლების სისტემაში არსებული ხშირი ცვლილებები და შესაბამისი მოთხოვნები სკოლების მიმართ; ➢ არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში.

საკომუნიკაციო არხების სიმრავლე.	

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზნები ეფუძნება არსებული მდგომარეობის SWOT ანალიზს და განსაზღვრავს პირველი შვიდწლიანი ციკლის ძირითად პრიორიტეტებს. ეს მიზნები შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას და კონკრეტული ამოცანების შესრულებაზეა ორიენტირებული. სკოლას 2025-2032 წლებში სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით შემდეგი მიზნები აქვს დასახული:

1. **ორგანიზაციული განვითარება;**
2. **სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა;**
3. **სკოლის ინფრასტურქტურის განვითარება;**
4. **სასკოლო საზოგადოების გაძლიერება.**

სტრატეგიული მიზანი 1: ორგანიზაციული განვითარება

ორგანიზაციული განვითარება სკოლის სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტული მიმართულებაა. სკოლის ამოცანაა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა და განვითარება, რაც უზრუნველყოფს პროცესების სწორ მენეჯმენტსა და თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურ მართვას. ორგანიზაციული კულტურის განმტკიცების მიზნით, სკოლა მიზნად ისახავს ეფექტურ თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. ეს გულისხმობს ფსიქოლოგთა, პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის წახალისებას, იდეების გაცვლის ხელშეწყობას და გუნდური მუშაობის ნორმების კულტივირებას. სკოლის ცნობადობისა და გრძელვადიანი განვითარების მხარდასაჭერად, მნიშვნელოვანია ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ეს პროცესი კი მოიცავს სკოლის იმიჯის განმტკიცებას, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერებას, მოსწავლეებისა და ოჯახების მოზიდვის მექანიზმების

დახვეწას. ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურების დამატება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უწყვეტი აკადემიური განათლების უზრუნველყოფას ერთიან სასწავლო სივრცეში, რაც გააძლიერებს სკოლის პოზიციას და კონკურენტუნარიანობას. გლობალურ სასწავლო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით საერთაშორისო პროგრამების დანერგვა უპასუხებს მომხმარებელთა ინტერესებს და გზას გაუხსნის მოსწავლეებს მსოფლიოს სხვადასხვაუნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

ამოცანები:

1. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა;
2. ინსტიტუციური გაძლიერება;
3. სკოლის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
4. საბაზო-საშუალო საფეხურების დამატება;
5. საერთაშორისო პროგრამის/პროგრამების აკრედიტაცია.

სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2025 – 2026	2026 – 2027	2027 – 2028	2028 – 2029	2029 – 2030	2030 – 2031	2031 – 2032
ორგანიზაციული განვითარება	ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა							
	ინსტიტუციური გაძლიერება							
	სკოლის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება							
	საბაზო-საშუალო საფეხურების დამატება							
	საერთაშორისო პროგრამის/პროგრამების აკრედიტაცია							

სტრატეგიული მიზანი 2: სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი საკვანძო მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმის მოდერნიზაციას მეოთხე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რისთვისაც ქმნის ინტეგრირებულ, პროექტებზე დაფუძნებულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს დიფერენცირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ძირითად საგნობრივ მიმართულებებში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც დროულად გამოვლინდება მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები და მათზე რეაგირების პრაქტიკული მიდგომები. გარდა ამისა, სკოლისთვის საჭირო ნაბეჭდი და ონლაინ რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება დამატებით გააძლიერებს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას.

ამოცანები:

1. ხარისხის მართვის პროცესების ოპტიმიზაცია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმის მოდერნიზება მეოთხე თაობის ესგ მიხედვით;
3. მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მექანიზმის დანერგვა;
4. სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნაბეჭდი და ონლაინ რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის გამართვა;
5. საერთაშორისო პროგრამის დანერგვა.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031	2031 - 2032
	ხარისხის მართვის პროცესების ოპტიმიზაცია							

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა	სასკოლო სასწავლო გეგმის მოდერნიზება მეოთხე თაობის ესგ-ს მიხედვით							
	მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მექანიზმის დანერგვა							
	სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნაბეჭდი და ონლაინ რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის გამართვა							
	საერთაშორისო პროგრამის დანერგვა							

სტრატეგიული მიზანი 3: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება

სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელია მოსწავლეთა და პედაგოგთა კომფორტული, უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. თანამედროვე და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ქმნის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, ხელს უწყობს სრულფასოვანი განათლების მიღებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციას. ამასთანავე, კარგად გამართული ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ აუმჯობესებს სწავლება-სწავლის ხარისხს, არამედ პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა და თანამშრომელთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

ამოცანები:

1. არსებული შენობისა და მიმდებარე სივრცეების განვითარება;
2. სასწავლო პროცესისათვის საჭირო საბაზისო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;
3. სასკოლო გარემოს უსაფრთხოების სისტემებითა და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

4. ახალი შენობის აშენება და მიმდებარე სივრცეების კეთილმოწყობა.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2025 – 2026	2026 – 2027	2027 – 2028	2028 – 2029	2029 – 2030	2030 – 2031	2031 – 2032
სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება	არსებული შენობისა და მიმდებარე სივრცეების განვითარება							
	სასწავლო პროცესისათვის საჭირო საბაზისო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა							
	სასკოლო გარემოს უსაფრთხოების სისტემებითა და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა							
	ახალი შენობის აშენება და მიმდებარე სივრცეების კეთილმოწყობა							

სტრატეგიული მიზანი: 4. სასკოლო საზოგადოების გაძლიერება

სასკოლო საზოგადოების გაძლიერება გულისხმობს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომლობის კულტურის განმტკიცებას და ყველა მონაწილე მხარის – მასწავლებლების, ფსიქოლოგების, მშობლებისა და მოსწავლეების – აქტიურ ჩართულობას. ამისთვის საჭიროა სისტემური პროფესიული განვითარების პროგრამები, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის პლატფორმების შექმნა, მშობელთა ჩართულობის გაძლიერება საინფორმაციო შეხვედრებითა და დისკუსიებით, ასევე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა პროექტებისა და სხვა აქტივობების გზით.

ამოცანები:

1. სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების შექმნა და გაუმჯობესება;
2. მშობელთა ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და გაუმჯობესება;
3. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2025 – 2026	2026 – 2027	2027 – 2028	2028 – 2029	2029 – 2030	2030 – 2031	2031 – 2032
სასკოლო საზოგადოების გაძლიერება	სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების შექმნა და გაუმჯობესება							
	მშობელთა ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და გაუმჯობესება							
	სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა							